შემუშავებულია სკოლის დირექტორის
და პედაგოგების მონაწილეობით

და დამტკიცებულია საშუალო სკოლა
იმედის პედაგოგიური საბჭოს მიერ.
2023 წლის 7 სექტემბერი სხდომაზე

ოქმი N1

ბრძანება N2-05, 7.09.2023 წელი

სკოლის დირექტორი: ც. გველესიანი

შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა

# იმედი

## სასკოლო სასწავლო გეგმა

## (2023-2024 სასწავლო წელი)

შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის

სახელობის საშუალო სკოლა იმედი

განხილულია პედაგოგიურ

საბჭოს სხდომაზე ოქმი ნომერი N1

დამტკიცებულია

სკოლის დირექტორის

მიერ ბრძანება ნომერი N2-05

სკოლის მისია

**სკოლის მისიაა აღზარდოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე,ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებელი პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული ექნება პატრიოტული, ზოგადსაკაცობრიო,უნივერსალური ეთიკური,დემოკრატიული და ტოლერანტული ღირებულებები.**

**სკოლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს მშვიდობიანი, ჰარმონიული, ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.**

**სკოლა ზრუნავს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი, პროგრესულად მოაზროვნე, მაძიებელი, შემოქმედი, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, საკუთარ განვითარებაზე ორიენტირებული, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი, შრომისმოყვარე, კომუნიკაციის მაღალი კულტურის მქონე, „ციფრული მოქალაქეობისა“ და გლობალური გარემოსდაცვითი ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდაზე.**

სკოლის ხედვაა: ,,შვიდი წლის შემდეგ, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა 80% მა შეძლოს სამოქალაქო საზოგადოებაში საკუთარი თავის რელიზება, თავისი საქმიანობით თანამედროვე სამყაროში თავის წარმატებულად დამკვიდრება.''

## სკოლის პრიორიტეტები:

1.ეკოლოგიურად სუფთა, მეგობრული, უსაფრთხო გარემო;

2.სწავლის უმაღლესი ხარისხი და ინოვაციური მეთოდები;

3.ყველა დისციპლინის (განსაკუთრებით ინგლისური ენის) გაღმავებული სწავლება;

4.ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად მსოფლიო კულტურისა და ისტორიის შესწავლა:

5.მოსწავლეთა კულტურულ-ესთეტიკური აღზრდა, კონფერენციები, დისკუსიები, ლაშქრობები, ინტელექტუალური თამაშები, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიები;

6.I-IV კლასის მოსწავლეებისათვის დღის მეორე ნახევარში სააღმზრდელო მომსახურეობა ერთჯერადი კვებით;

7.პროფესიონალი მასწავლებლები;

8.მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ფაკულტატური და სხვა სახის წრეები ( სპორტული, ცეკვის, ინგლისური, რუსული და სხვა);

9. მოსწავლეთა ჯგუფები (20-35 მოსწავლე).

# სასკოლო სასწავლო გეგმა

### თავი I . სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ზოგადი განათლების საფეხურები

მუხლი1.

სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტს ,,ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“,

ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლის მისიას, რომელიც განსაზღვრავს,თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ. სასკოლო სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, პასუხობდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას-შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები.

სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედი სავალდებულო დოკუმენტია და განკუთვნილია კონკრეტულ სკოლაში მოღვაწე თუ მონაწილე ყველა სუბიექტისათვის. ის მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას .

**მუხლი 2. სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა**

1.სასკოლო სასწავლო გეგმა, ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, შედგება.

2. I კარში წარმოდგენილია სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები. ზოგადი განათლების საფეხურები, მათი მისია და მიზნები, განათლების ენები და ენობრივი განათლება; სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები; მეთოდიკური ორიენტირები; სასწავლო წლის კალენდარი სკოლაში, მოსწავლეთა რაოდენობა სკოლის კლასში; სკოლის საერთო კულტურა, დამრიგებლის მოვალეობები; საგნობრივი კათედრები; სასკოლო სასწავლო გეგმა; საგანმანათლებლო რესურსები; მოსწავლეთა შეფასება; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების აღიარება; გაცდენები; შინ სწავლება; ინკლუზიური განათლება; სავალდებულო და არჩევითი საგნები; საათობრივი ბადე;

3. II კარში წარმოდგენილია საგნობრივი სასწავლო გეგმების ზოგადი დახასიათება, საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, საგნის სწავლების ორგანიზება, საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით.

4.III კარში წარმოდგენილია საგნობრივი სასწავლო გეგმების საგნობრივი პროგრამები კლასების მიხედვით.

**მუხლი 3.ზოგადი განათლების საფეხურები**

1.სრული ზოგადი განათლება არის სამ საფეხურიანი და თორმეტწლიანი.

2.სრული ზოგადი განათლების საფეხურებია:

ა) დაწყებითი I-VI კლასები;

ბ) საბაზო VII-IX კლასები;

გ) საშუალო X-XII კლასები.

3. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

4.სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას.

## თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

### მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისია

დაწყებითი საფეხურის მისიაა:

ა) საგანთა თანმიმდევრული სწავლა-წავლების გზით მოსწავლის გონებრივი,ფიზიკური,ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება,ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისათვის.

### მუხლი 5. საბაზო საფეხურის მისია

საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი,დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება,მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა,მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა

განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის ან შრომითი საქმიანობისათვის.

## მუხლი 6. საშუალო საფეხურის მისიაა:

ა)საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოაზროვნე,მაძიებელი,ახლის შემოქმედი,წიგნიერი,ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება,რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება,საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური,ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

## მუხლი 7.სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები

1. სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს

განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

ა) პრობლემის გადაჭრა;

ბ)კრიტიკული აზროვნება;

გ)შემოქმედებითი აზროვნება;

დ)თანამშრომლობა;

ე) კომუნიკაცია;

ვ)ეთიკა;

ზ)მეწარმეობა,ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა;

თ)დროსა და სივრცეში ორიენტირება;

ი)კვლევა;

კ)სწავლის სწავლა,დამოუკიდებლად საქმიანობა;

ლ)პასუხისმგებლობა;

მ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

ნ)წიგნიერება;

ო)დისტანციური სწავლების ჩვევები.

2.ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე ასევე პრიორიტეტულია შემდეგი თემები:

ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

ბ)გარემოს დაცვა;

გ)ჯანსაღი ცხოვრება;

დ) კონფლიქტების მართვა;

ე) ფინანსური წიგნიერება;

ვ) კულტურული მრავალფეროვნება.

**მუხლი 8 განათლების ენები და ენობრივი განათლება**

1. ენა უნიკალურ როლს ასრულებს სასკოლო განათლებაში-იგი მთავარი იარაღია საგანთა შინაარსის შესამეცნებლად და ასათვისებლად. ამდენად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა გულისხმობს ენობრივი განათლების ხელშეწყობას.
2. **განათლების ენები მოიცავს:**

ა) სწავლა-სწავლების ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სასკოლო საგანთა სწავლა და სწავლება;

ბ) საგნის ენას, რომელზედაც მიმდინარეობს კონკრეტული საგნობრივი შინაარსის სწავლება;

გ) ენას, როგორც საგანს, რომლის მიზანი ენის სწავლებაა საშუალო სკოლა იმედის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასეთ საგნებს წარმოადგენს ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური და რუსული ენები.

**მუხლი 9. სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები.**

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე,სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს.ეს პრინციპებია:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი ატიური დამუშავების შედეგად.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას(სწავლის სწავლა).მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე,რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის,საუკეთესოს აღმოჩენაში.

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს,პროცედურულს და პირობისეულს.

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა.იგი გულისხმობს თეორიების,ფაქტების,წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას რა ვიცი?

ე.ბ)პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას.პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს არსებული ნიშან-თვისებების ამოცნობას.იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას.

## თავი III.ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა.

ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით,ემოციებით,ინტერესებით,პირადი გამოცდილებით,აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლა-სწავლების დროს.

ბ) სკოლა იმედში სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში,სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებს და ინტერაქციას,სადაც მოსწავლე არის დაფასებული,აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

**მუხლი 11. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა**

**სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზანია:**

ა) დაუშვებელია სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები.

ბ)განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მისაცემად,სკოლა იმედი მოსწავლეებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით_ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის,სტრატეგიის,პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

**მუხლი 12. სიღრმისეული სწავლება**

სკოლა იმედი უზრუნველყოფს მოსწავლეთა სიღრმისეულ სწავლებას: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების,ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას,საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტებში დამუშავებას.

**მუხლი 13.მოსწავლის მოტივაციის გაზრდა**

სკოლა იმედი ორიენტირებულია მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე.ამ მხრივ სკოლის მასწავლებლები ფლობენ ეფექტურ მეთოდებსა და მიდგომებს,რომლის გამოყენებით მოსწავლეებს ეხმარებიან, რათა დაინახონ დავალებათა მიზანი,მისი საჭიროება და კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

**მუხლი 14. დისციპლინა**

სკოლაში შექმნილი მშვიდი,საქმიანი და კეთილგანწყობილი გარემო ქმნის პირობებს მოსწავლეებს განუვითარდეს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები.

**მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა**

საშუალო სკოლა იმედის მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში როგორც გაკვეთილებზე,ისე კლასგარეშე ღონისძიებებში.

## თავი IV. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

**მუხლი 16. 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი**

1.საშუალო სკოლა იმედში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტარად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2. 2023-2024 სასწავლო წელი სკოლაში იწყება 2023 წლის 15 სექტემბერს და დასრულდება 2024 წლის 14 ივნისს, XII კლასში სასწავლო პროცესი შეწყდება 2024 წლის 20 მაისს.

3.2023-2024 სასწავლო წელს სასწავლო დღეების რაოდენობაა 174, აქედან I სემესტრი 75 დღე, მეორეში 99 დღე.

4. 2023–2024 სასწავლო წელში 36 სასწავლო კვირაა, აქედან I სემესტრში 15, II სემესტრში - 21.

5. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2023 წლის 29 დეკემბერს, II სემესტრი იწყება 2024 წლის 15 იანვარს;

6. არდადეგები:

ა. საშობაო_ 2023 წლის 30 დეკემბერი- 2024 წლის 15 იანვარი

2. საგაზაფხულო- 2024 წლის 9 მარტი-2024 წლის 14 მარტი

3. სააღდგომო- 2024 წლის 3 მაისი- 2024წლის 13 მაისი

4.საზაფხულო- 2024 წლის 14 ივნისი- 2024 წლის 16 სექტემბერი

უქმე დღეები:

ა) 14 ოქტომბერი მცხეთობის (სვეტიცხოვლობის კვართის დღესასწაულის) დღე;

ბ) 23 ნოემბერი - გიორგობის დღე;

გ)19 იანვარი ნათლისღება;

დ) 3 მარტი - დედის დღე

ე)  8 მარტი- ქალთა საეთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე,

ზ) 9  მაისი საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობის და სამშობლოსათვის დაღუპულთა დღე

თ) 12 მაისი საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

ი) 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

7.სკოლა იმედში სასწავლო კვირა ხუთდღიანია.საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც.კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:

ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღეები; ამ შემთხვევაში სკოლა ინფორმაციას მიაწვდის სამინისტროს;

გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

8.მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით სკოლაში გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების მაქსიმალური რაოდენობა არის შემდეგი:

| კლასი | I | II-III | IV-V | VI-VII | IX | X-XII |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაქსიმალური დასაშვები საათები(ასტრონომიული) აკადემიური საათი დღეში | 3/5 გაკვეთილი | 4სთ/5-6 გაკვეთილი | 4სთ/5-6გაკვეთილი | 5სთ/6-7გაკვეთილი | 5-6/6-7გაკვეთილი | 5-6/6/7 გაკვეთილი |

საათების დამატების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სრულფასოვანი კვებით, სკოლაში არსებული კვების ბლოკში და გაკვეთილებს შორის ხანგრძლივი შესვენებებით.

9.სკოლა იმედში I-XII კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გაკვეთილების ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა

ა) ექსტრემალური პირობების დროს( ყინვა,განსაკუთრებული სიცხეები,ეპიდ. სიტუაციაში, პანდემია და ა.შ) არანაკლებ 10 წუთით.

10.. გაკვეთილოებს შორის შესვენების ხანგრძლივობა დიდი დასვენების ჩათვლით არის 15 წუთიანი.

13. 2023-2024 სასწავლო წლის დღის განრიგი

(I –XII კლასები )

ა)

| გაკვეთილი | დაწყება | დამთავრება | შესვენება |
|---|---|---|---|
| I | 9.00 | 9.45 | 15 |
| II | 10.00 | 10.45 | 15 |
| III | 11.00 | 11.45 | 15 |
| IV | 12.00 | 12.45 | 15 |
| V | 13.00 | 13.45 | 15 |
| VI | 14.00 | 14.45 | 15 |
| VII-წრე | 15.00 | 15.45 | 15 |
| VIII-წრე | 16.00 | 16.45 | 15 |

ბ)

| გაკვეთილი | დაწყება | დამთავრება | შესვენება |
|---|---|---|---|
| I | 9.00 | 9.45 | 10 |

| | | | |
|---|---|---|---|
| II | 9.55 | 10.40 | 10 |
| III | 10.50 | 11.35 | 10 |
| IV | 11.45 | 12.30 | 10 |
| V | 12.40 | 13.25 | 10 |
| VI | 13.35 | 14.20 | 10 |
| VII-წრე | 14.30 | 15.15 | 10 |
| VIII-წრე | 15.25 | 16.10 | 10 |

## მუხლი 17.მოსწავლეთა რაოდენობა სკოლა იმედის კლასში

1.საშუალო სკოლა იმედში მოსწავლეთა რაოდენობა კლასში განისაზღვრება 20-30 მოსწავლით.

2.კლასის გაყოფა დაშვებულია უცხოურ ენაში იმ შემთხვევაში თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არის 15 და მეტი.

3.უცხოურ ენაში დაშვებულია განაყოფები დაკომპლექტდეს ენის ფლობის დონის გათვალისწინებით.

## მუხლი 18. სკოლის სერთო კულტურა

საშუალო სკოლა იმედი საგნების სწავლა-სწავლების სასკოლო პროექტების,სპორტული,სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების საშუალებით ხელს უწყობს:

ა) ურთიერთპატივისცემის,შემწყნარებლობისა  და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს,მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური ეთნიკური,რელიგიური,ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;

ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისათვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

გ)მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ჩართულობას;

დ)ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;

ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას;

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;

ზ) გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისათვის.

თ)კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;

ი)სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას;

**მუხლი 19.დამრიგებელი**

1.საშუალო სკოლა იმედში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი,რომელიც არის ამავე სკოლის მასწავლებელი

2.დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:

ა) სრულფასოვანი აღზრდა

ბ) მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება

დ) თანამშრომლობის პრინციპი;

**2.დამრიგებლის მოვალეობებია:**

ა) გააცნოს მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები( სკოლის შინაგანაწესი,მოსწავლის ეთიკის კოდექსი,სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა);

ბ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში.

გ) იყოს შუამავალი მოსწავლეს,მშობელს და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

დ) რეგულარულად( მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის,დისციპლინის,პიროვნული პრობლემებისა თუ

წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

ე) საჭიროების შემთხვევაში,შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაცია;

ვ) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები,გაკვეთილზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს  და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

ზ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე  დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

4. საშუალო სკოლა იმედის კლასის/კლასების დამრიგებელი პასუხისმგებელია მოსწავლეებზე სასწავლო პროცესის განმავლობაში. პარალელურ ჯგუფებს, რომელიც განთავსებულია ერთ სივრცეში შეიძლება ჰყავდეს ერთი დამრიგებელი.

5. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს დამრიგებლის პრინციპების შესაბამის პროგრამას. ატარებენ სხვადასხვა საკლასო და კლასგარეშე ღონისძიებებს.კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს უსაფრთხო და შემოქმედებითი გარემოს შექმნას,ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას,ზრუნავს მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე,შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე.

6. სკოლა იმედის კლასის დამრიგებელი აღრიცხავს მოსწავლეთა გაცდენებსა და დაგვიანებებს, საჭირო სასწავლო ნივთების ქონას, დისციპლინარულ გადაცდომებს. აწარმოოს ელექტრონული ჟურნალი. კლასის დამრიგებელი პირველი გაკვეთილის შემდეგ უფროსი მორიგე მასწავლებლისგან( დღის განმავლობაში ყველა სართულზე მიმაგრებულია ერთი უფროსი მორიგე მასწავლებელი,რომლებიც პირველი გაკვეთილის განმავლობაში სპეციალურ ფორმაში აღრიცხავენ მოსწავლეების გაცდენა/დაგვიანებას)იღებს ინფორმაციას, ადგენს გაცდენა/დაგვიანების მიზეზს მშობლის მეშვეობით.დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს.

7. კლასის დამრიგებელი აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების (წარმატება/წარუმატებლობის) და ყოფაქცევის შესახებ და ამ მონაცემებს აცნობს მშობლებსა და ადმინისტრაციას. იწვევს მშობელთა კრებას წელიწადში მინიმუმ სამჯერ და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკუთარი კლასის საგნის

მასწავლებლებთან შეხვედრას. აგროვებს მოსწავლეთა შედეგების შესახებ

ინფორმაციას საგნის მასწავლებლებისგან და დროულად იღებს სასარგებლო გადაწყვეტილებებს მის გასაუმჯობესებლად. იკვლევს მოსწავლის პრობლემებს (ოჯახური,სკოლაში არსებული და სხვა) და უტარებს ინდივიდუალურ საუბრებს,აძლევს რეკომენდაციებს და ეხმარება მათ ამ პრობლემების ეფექტურად გადაჭრაში.

8.სკოლა იმედის კლასის დამრიგებლები აწარმოებენ საქაღალდეებს, რომელშიც აღნუსხულია მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია: კლასის საათის თემატური ერთეული,ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროექტები ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, კრების ოქმები, სემესტრული და წლიური ანგარიშები,მოსწავლეთა პირადი მონაცემები.

9. 2023-2024 სასწავლო წელს საშუალო სკოლა იმედში თითოეულ კლასში/კლასებში დამრიგებლის ფუნქცია დაკისრებული აქვს შემდეგ მასწავლებლებს(იხილეთ დანართი #1).

## მუხლი 20. საგნობრივი კათედრები სკოლაში

1.სკოლაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილია კათედრები,რომელშიც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი.

2.სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კათედრები:

1. დაწყებითი საფეხურის;

2. ქართული ენისა და ლიტერატურის;

3.საზოგადოებრივი მეცნიერებების;

4. მათემატიკისა და ტექნოლოგიების;

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;

6.უცხოური ენების; (ინგლისური, რუსული)

7.ესთეტიკური აღზრდის და სპორტის.

## 3.კათედრის ფუნქციებია:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ)კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება,წარმატების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიორი საბჭოსთვის წარდგენა.

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა;

ე) ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

თ) სკოლის დირექტორისათვის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის წარდგენა.

## 3.კათედრის მოწყობა

ა) სკოლაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით ყველა კათედრას ყავს დეპარტამენტის ხელმძღვანელები;

ბ) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი წლის ვადით ხმათა უმრავლესობით

გ) ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შეიძლება ზედიზედ სამჯერ.

## 4. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები:

ა) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმების და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);

ბ)სკოლის მართვის ორგანოებისთვის  კათედრის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება;

გ) მასწავლებლის  პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების

 (კოლეგებთან შეხვედრების,ტრენინგების,კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.

5.კათედრის თავმჯდომარის საქაღალდე უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს :

ა) კათედრის  დებულება;

ბ) კათედრის წევრების პირადი მონაცემები;

გ) კათედრაზე შერჩეული სახელმძღვანელოების  და სასწავლო რესურსების ნუსხა;

დ) კათედრაში შემავალ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;

ე) კათედრის სამოქმედო გეგმა;

ვ) კათედრის სხდომის ოქმები;

ზ) საგნის შეფასების კომპონენტები,კრიტერიუმები,რუბრიკები

თ) საგნობრივი თემატური გეგმები;

ი) შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზი;

კ) კათედრის თავმჯდომარის სემესტრული და წლიური ანგარიშები;

ლ) გაკვეთილზე დასწრების ფურცლები.

6. თითოეულ კათედრაში  გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო და არჩევითი საგნები:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა- ქართული ენა და ლიტერატურა

ბ) მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა- მათემატიკა,ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;

გ) უცხოური ენების კათედრა-ინგლისური და  რუსული ენები

დ) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა_ მე და საზოგადოება ( II1-IV),  ჩვენი საქართველო (V-VIკლ.), საქართველოს და მსოფლიოს ისტორია( VII-XIIკლ.), საქართველოს და მსოფლიოს გეოგრაფია (VII-XII კლ),  სამოქალაქო განათლება-

მოქალაქეობა (VII-IX), ეკონომიკა და  სახელმწიფო (არჩევითი საგანიXI),მსოფლიო კულტურა (არჩევითი საგანი  X), სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (XII კლასი)

სავალდებულო პროექტით სწავლება მოქალაქეობა (X კლ)

ე)საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა-

-ბუნებისმეტყველება (I-VI კლ);

-ბიოლოგია (VII-XI კლ);

-ფიზიკა ( VII-XI კლ);

- ქიმია ( VIII-XI კლ);

- კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები (არჩევითი XII კლ).

3. ესთეტიკურ აღზრდისა და სპორტის  კათედრა-

-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ( I-IX კლ);

მუსიკა (I-IX კლ);

- ფიზიკური აღზრდა და სპორტი ( I-XII კლ).

-სავალდებულო პროექტით სწავლება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (X- XIკლ)

დაწყებითი საფეხურის კათედრა-მასში შედის ყველა ის საგანი,რომელიც განკუთვნილია მხოლოდ I-IV კლასებისათვის, კერძოდ ქართული ენა და ლიტერატურა,მათემატიკა.

8. სკოლაში საგნობრივი დეპარტამენტების და კათედრების თავმჯდომარეებად კათედრების მიერ არჩეულია შემდეგი მასწავლებლები:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის  დეპარტამენტი-თამილა ჭანკვეტაძე  კათედრა-ბურჯალიანი თინათინი;

ბ) მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა-  დეპარტემენტი-ხარაზიშვილი ინგა-კეთედრა ხურციძე შორენა;

გ) უცხოური ენების კათედრა-დეპარტამენტი-  ბულია ლელა, კათედრა-დიასამიძე სოფიო;

დ) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა-დეპარტამენტი ფაჩულია ელმირა, კათედრა თამთა სანიკიძე;

ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა- დეპარტამენტი სამხარაძე მერი, კათედრა-თეა დვალიშვილი;

ვ) ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის-დეპარტამენტი ჩომახიძე მაგდა, კათედრა ხუტაშვილი თეონა;

ზ) დაწყებითი საფეხურის კათედრა-დეპარტემენტი მაჭავარიანი ლია, კათედრა ზირაქაძე მაკა

9. საგნობრივ კათედრებში და დეპარტამენტებში გაერთიანებულია სკოლა იმედში ძირითად ადგილზე მომუშავე ყველა მასწავლებელი.

## თავი 5.სასკოლო სასწავლო გეგმა

მუხლი 21.სასკოლო სასწავლო გეგმის დანიშნულება და შემადგენელი ნაწილები

2023-2024 სასწავლო წელს საშუალო სკოლა იმედი, ეროვნული სასწავლო გეგმიდან და სკოლის პრიორიტეტებიდან გამომდინარე შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) სკოლის მისია

ბ) სასკოლო საათობრივი ბადე (იხილეთ დანართი N2);

გ) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით(იხილეთ დანართი N3);

დ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები( რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის,საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);

ე) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

ვ) ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა(საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის;

**მუხლი 22.დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლას შეუძლია,საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეების დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეებს ,როგორც სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული, ასევე ფასიანი მომსახურების სახით.ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

ამ მხრივ, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

ე.ს.გ-ით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას:

ა) წრე (I-VI კლასები, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,);

ბ) უცხოური ენების, წრე (ინგლისური, გერმანული) სწავლება VII-XI კლასები;

გ) ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი სტუდია;

დ) ჭადრაკის წრე II-IV კლასები.

აღნიშნული მომსახურების მიზანია: ნიჭიერ მოსწავლეთა ხელშეწყობა,მათი მიდრეკილებებისა და უნარების რეალიზებისათვის მრავალფეროვანი გარემოს შექმნის მიზნით;

-მოსწავლეებში თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება;

-მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

- მოზარდებში პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგებია:

-შექმნილი მრავალფეროვანი სასწავლო გარემო ხელს შეუწყობს ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენას და მათი შესაძლებლობების რეალიზებას;

- პროფესიული ორიენტაციის სტიმულირება და ხელშეწყობა;

-უფრო ინტენსიური გახდება მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში;

- მოსწავლეებში განვითარდება კომუნიკაციის,თავისუფალი დროის დაგეგმვის უნარ-ჩვევები;

- მოსწავლეებში მოხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

**3.ქართული ხალხური ცეკვის სტუდია**
**სამოქმედო გეგმა:**

1.მოსამზადებელი ვარჯიშები

2. ცეკვა ,,ქართული“ -ილეთების შესწავლა

3. ცეკვა ,,მთიულური“ -ილეთების შესწავლა

4.ცეკვა ,,აჭარული“-ილეთების შესწავლა

5.ცეკვა ,,კინტაური“-ილეთების შესწავლა

6.ცეკვა ,,ოსური“-ილეთების შესწავლა

7.ცეკვა ,,რაჭული“-ილეთების შესწავლა

8. ნახაზის დამუშავება

9.ცეკვის დადგმა

10.რიტმზე მუშაობა

11.კონცერთის გამართვა

12.სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობის მიღება

| პედაგოგი | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბაში | პარასკევი |
|---|---|---|---|---|---|
| ვაშაყმაძე ნინო (უფასო ცეკვის წრე) | 15 ⁰⁰ | 15 ⁰⁰ | | 15 ⁰⁰ | |
| შოგირაძე თებრონე უფასო გერმანულის წრე) | 14 ⁰⁰ | | 14 ⁰⁰ | | 14 ⁰⁰ |
| ძოძუაშვილი ირაკლი (I-IV) უფასო ჭადრაკის წრე ) | | 16 ⁰⁰ | | 16 ⁰⁰ | 16 ⁰⁰ |
| გერაძე ანა (უფასო ინგლისურის წრე) | | 15 ⁰⁰ | | 15 ⁰⁰ | |

5.გახანგრძლივებული ჯგუფის წრე (I-VI კლ.) უფასო

სამუშაო გეგმა:

1.ჯგუფის დაკომპლექტება მშობელთა განცხადებების მიხედვით;

2.მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა;

3. კვების რეჟიმის უზრუნველყოფა;

4.,,საშინაო დავალებების შესრულების საათის“ განხორციელება ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში;

5.სხვადასხვა ტიპის ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება;

**მუხლი 23. სასკოლო საათობრივი ბადე**

1.სასკოლო საათობრივი ბადე:

ა)განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;

ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს,რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს,რა თანმიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება;

გ)სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნულია როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები,ასევე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

(იხილეთ დანართი N2 საათობრივი ბადე)

## თავი 4.საგანმანათლებლო რესურსები

მუხლი24. საგანმანათლებლო რესურსების ტიპები:

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; (იხილეთ დანართი N5)

ბ)დამატებითი საგანმანათლებლო( მათ შორის ელექტრონული) რესურსები

გ)სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები ( რუკები, პლაკატები,გლობუსები , მოდელები და სხვა)

დ) საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია

ე) დამხმარე ლიტერატურა;

ვ) ბიბლიოთეკა, ბუნებრივი გარემო და სხვა.

(იხილეთ დანართი N3 გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები).

**მუხლი 23.სკოლის მიერ საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა**

1.შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლება მიმდინარეობს სკოლის ყველა პარალელურ კლასებში

2.სკოლა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის,კერძოდ მშობლის,მოსწავლის,მასწავლებლისა და სხვა პირთათვის.სახელმძღვანელოების ნუსხა გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე.

## თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 26.მოსწავლის შეფასების მიზნები,პრინციპები და ამოცანები

1.მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა,რაც გულისხმობს,ერთი მხრივ,სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორეს მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი.თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას,ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად.

დ) მოიცავს სამივე კატეგორიის ცოდნას (დეკლარატიული,პროცედურული და პირობისეული);

ე) აჩვენოს,რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ  კონტექსტის მქონე დავალებებს,რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის  სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

**მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში**

1.სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:

განმსაზღვრელი და განმავითარებელი

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია საგნის სწავლების  ხარისხის გაუმჯობესებაზე.

**მუხლი 29.აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა**

სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვი:

| ქულები | შეფასების დონეები |
|---|---|
| 10 | მაღალი |
| 9 | |
| 8 | საშუალოზე მაღალი |
| 7 | |
| 6 | საშუალო |
| 5 | |
| 4 | საშუალოზე დაბალი |
| 3 | |
| 2 | დაბალი |

| | |
|---|---|
| 1 | |

**მუხლი 30. შეფასება დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურებზე**

1.I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება.ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს,აღნიშნავს წარმატებებს და მიუთითებს რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.კლასის დამრიგებელმა,საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით,ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი-10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში ,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ , პროექტი „მოქალაქეობა“ და პროექტი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

4.დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

5. სკოლაში თემის ან პროგრამის დასრულების შემდეგ სემეტრის ან წლის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები ტესტირებების სახით,რომლის შეფასება ხდება რუბრიკების საშუალებით.რუბრიკების კრიტერიუმები იქმნება სკოლის საფეხურის მიზნებისა და ეროვნული საგნობრივი სტანდარტების საფუძველზე.მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი არიან კრიტერიუმების შემუშავებასა და განხილვებში.

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მექანიზმებს.ამით ხელს უწყობენ შეფასების გამჭირვალობას,ასევე მშობელთა ჩართვას საკუთარი შვილების განვითარების პროცესში. მშობლები შვილების შეფასებებს აკონტროლებენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

## მუხლი 31 .მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1.სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3) სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო სავალება( V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები)

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება(VII-XII კლასები)

გ)შემაჯამებელი დავალება( V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები)

4. I-IV  კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ  დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. V კლასის მეორე  სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში  გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

| | I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი | Vკლასის მეორე სემესტრი და VI კლასი | საბაზო-საშუალო საფეხური |
|---|---|---|---|
| მიმდინარე საშინაო დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება |
| მიმდინარე | განმავითარებელი | განმავითარებელი | განმავითარებელი/განმსაზღვრელი |

| | | | |
|---|---|---|---|
| საკლასო დავალება | შეფასება | და განმსაზღვრელი შეფასება | შეფასება |
| შემაჯამებელი დავალება | განმავითარებელი შეფასება | განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება | განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება |

7) შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება( მაგ. ესეს დაწერა,პროექტის მომზადება,ლაბორატორიული კვლევის ჩატარება,რეფერატის დაწერა,ამოცანის ამოხსნა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შექმნა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლი ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა).

აღნიშნული დავალებების შეფასებისთვის სკოლის პედაგოგები წინასწარ შეიმუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს,და დაამტკიცებენ კათედრის პირველ სხდომაზე. ყველა ტიპის დავალებაზე მითითებული უნდა იყოს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება.

8. სასკოლო სასწავლო გეგმა, ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნებისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობას(იხილეთ საათობრივი ბადე)

9. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩასატარებელი ყველა შემაჯამებელი დავალება.

10. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო,სკოლა მოსწავლეს სკოლაში გამოცხადებიდან 10 სასწავლო დღის ვადაში აძლევს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას,არა საგაკვეთილო პროცესის შემდეგ.მონიტორინგსა და ზედამხედველობას აღსადგენ შემაჯამებელ დავალებებზე ახორციელებს სასწავლო ნაწილის გამგე.

პედაგოგები უზრუნველყოფენ იმავე თემატიკის და დატვირთვის დავალებების შედგენას.შესრულებული დავალებები სწორდება ჩატარებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა და უზრუნველყოფს სკოლის ჟურნალში მის შეტანას.

11. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია,კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შემდეგი დოკუმენტაცია: ა) შემაჯამებელი დავალებების განრიგი; ბ) შემაჯამებელი დავალებების პირობა,საგნის სტანდარტის შედეგი/შედეგები,რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; გ) კრიტერიუმები,რომლითაც ფასდება ეს დავალება, დ) მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან ვიზუალური მასალა.

**მუხლი 32. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები**

საშუალო სკოლა იმედში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის მიმდინარე საკლასო,საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) საგნის სემესტრული ქულა- საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;

გ) საგნის წლიური ქულა- სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა,რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.

**მუხლი 33. ქულების გამოანგარიშების წესი**

1.საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ)მიღებული  ქულა უნდა დამრგვალდეს მთელი სიზუსტით( მაგ. 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7,49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი  სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად მიღებული ქულების ჯამი უნდა გაყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/ საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალებების უფრო მეტი რაოდენობა,ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული,ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

2.საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოანგარიშებისას საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით( მაგ. 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

დ) თუ მოსწავლეს,სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო,მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება,რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი,ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან ერთად მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში,თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის პერიოდში,განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება,როგორც ორი დამოუკიდებელი  საგნის წლიური ქულა;

ვ) საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით ( მაგ. 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75-9.8-მდე).

გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/ საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

## მუხლი 34. კლასის და საფეხურის დაძლევა

1.2023-2024 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის 35_ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საშუალო სკოლა იმედში კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერია 5.0 ქულა, დამრგვალების შემდეგ.

2.კლასი დაძლეულად ჩაითვლება,თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0.

3. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება,თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 და მეტი, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

4. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება,თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 და მეტი და ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი,რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

5. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საფეხურის ქულა(დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 და მეტი და ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

6. თუ საშუალო სკოლა იმედის მოსწავლემ კონკრეტულ კლასში ვერ გადალახა სკოლის მიერ დადგენილი ბარიერი 5.0 ქულა, მაგრამ მან დაძლია 2022-2023სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერი 5.0 ქულა,უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.

## მუხლი 35. გამოცდის ტიპები

1.საშუალო სკოლა იმედში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

ა) სემესტრული გამოცდა;

ბ) საშემოდგომო გამოცდა;

გ) ექსტერნის გამოცდა;

2.სემესტრული გამოცდები ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის,რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

3.სემესტრული გამოცდის დანიშვნისათვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით

მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ.

4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში,სკოლა უზრუნველყოფს გამოცდის მიუკერძოებლად და ობიექტურად ჩატარებას სკოლის მიერ შექმნილი საგამოცდო კომისიის მიერ.

5. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრული ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

6. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

7. მიმდინარე სასწავლო წელს წლიური გამოცდა სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული.

8.მომდევნო სასწავლო წლებში სკოლის მიერ წლიური გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის 36- მუხლით მე-9-10-11-12-ე პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები,რომელიც აისახება შესაბამისი სასწავლო წლის სკოლის გეგმაში.

9.საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5.0-ზე ნაკლები.

10. საშემოდგომო გამოცდამდე პედაგოგები მოსწავლეებს უწევენ კონსულტაციებს იმ საგნებში,რომლებშიც დაენიშნათ მათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;

11. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების მიზნით იქმნება საგამოცდო კომისია.

12. საშემოდგომო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით,ტესტირებით,წინასწარშედგენილი გრაფიკის შესაბამისად, სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

13. საშემოდგომო საგნის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

14.  ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

15.სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

**მუხლი 36. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება**

1.შეფასების მაღალი დონე( ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის წარჩინებით დამთავრებას.

2. მოსწავლე,რომლის წლიური ქულა ყველა საგანში არის 10 მას გადაეცემა პირველი ხარისხის დიპლომი.

3. მოსწავლე,რომლის წლიური ქულა ყველა საგანში არის 9, მას გადაეცემა მეორე ხარისხის დიპლომი.

4.მოსწავლე,რომლის წლიური ქულა ყველა საგანში არის 8,მას გადაეცემა  მესამე ხარისხის დიპლომი.

5.მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე ,იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერთიფიკატს.

6.მოსწავლე,რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი,იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერთიფიკატს.

7. პირზე,რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო  საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით,ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერთიფიკატი არ გაიცემა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფეხურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების საფუძველზე,უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები,რომლებთან შესაბამისობა არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით,დაძლიეს ექსტერნატის ფორმით.

## მუხლი 37 გაცდენები

1.მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა ელექტრონულ ჟურნალში.

2.გაკვეთილზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა რაოდენობა თავის პორფელიოში.

3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი,მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება იმ გაცდენილი დღეზე/დღეებზე , როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება,თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

5.იმ მოსწავლეებისათვის,რომლებიც  მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში,სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილების შემთხვევაში ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა კონკრეტულ მოსწავლეზე არ გავრცელდება.

## მუხლი 38. შინ სწავლა

1.საჭიროების შემთხვევაში, საშუალო სკოლა იმედი განახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის 39-ე მუხლის მოთხოვნებს შინ სწავლებასთან დაკავშირებით . ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე დისტანციური სწავლება.

## თავი VIII. ინკლუზიური განათლება

### მუხლი 36.ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება არის სპეციალური საგანმანათლებლი საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

საშუალო სკოლა იმედი,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო

გეგმას,ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მიერ შექმნილი დოკუმენტების საფუძველზე(იხ.დანართი N5)

### მუხლი 40. შეფასების გამჭირვალობა

1.სკოლაში მოსწავლეების აკადემიური მოსწრების აღრიცხვისათვის მოქმედებს ელექტრონულ ჟურნალი, სადაც ჩაწერილია ყოველდღიური შეფასებები.

2.ყველა საკლასო ოთახში გამოკრულია საგნების მიხედვით მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები , კომპონენტები.

შეფასების კრიტერიუმები მკაფიო და გაზომვადია;

შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის სუბიექტურ მოსაზრებებზე, მის პიროვნულ დამოკიდებულებებზე.

შესასრულებელი დავალება/საკითხები და ინსტრუქციები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული;

 მკაფიოდაა განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები;

 შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს მოსწავლის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას.სხვადასხვა პედაგოგი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს და/ან ერთი პედაგოგი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;

მასწავლებელი ფლობს სათანადო კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. მას ზუსტად აქვს განსაზღვრული შეფასების საგანი;

აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;

შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი ყველასთვის;

.სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს აცნობენ შეფასების პრინციპებს, ნიშნის გამოყვანის სისტემას.

## თავი IX. სავალდებულო და არჩევითი საგნები

### მუხლი 41.საგნების დაჯგუფების მთავრი პრინციპები

1.საგნობრივი ჯგუფები მოიცავს როგორც სავალდებულო,ისე არჩევით საგნებს.

2.სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:

ა)სახელმწიფო ენა;

ბ)მათემატიკა;

გ)უცხოური ენები;

დ)საზოგადოებრივი მეცნიერებები;

ე)საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ვ)ტექნოლოგიები;

ზ)ესთეტიკური აღზრდა;

თ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3.საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მომიჯნავე დისციპლინებს.

4.საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო და/ან არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.

5.დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე სხვადასხვა საგნის ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის.

## მუხლი 42. სახელმწიფო ენა

1.სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია სავალდებულო საგანი ქართული ენა და ლიტერატურა და ისწავლება I-XII კლასებში.

## მუხლი 43. მათემატიკა

1.მათემატიკის საგნობრივ ჯგუფში შედის მათემატიკა და ისწავლება I-XII კლასებში.

## მუხლი 44.უცხოური ენები

1.უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) პირველი უცხოური ენა-ინგლისური ენა და ისწავლება  I-XII კლასებში;

ბ)მეორე უცხოური ენა-რუსული ენა და ისწავლება V-XII კლასებში.

2.პირველი კლასიდან სავალდებულოა ინგლისური ენის სწავლება.

## მუხლი 45.საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) მე და საზოგადოება(ისწავლება III-IVკლასებში);

ბ) ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);

გ) ისტორია( ისწავლება VII-XII კლ  საქართველო და მსოფლიო);

დ) გეოგრაფია, საქართველოს და მსოფლიოს  (ისწავლებაVII- XII კლასებში);

ე)სამოქალაქო განათლება (მოქალაქეობა) (VII-IX კლ);

ვ) ეკონომიკა და სახელმწიფო( არჩევითი,ისწავლება XI კლ);

ზ) მსოფლიო კულტურა(არჩევითი,ისწავლება X კლ);

თ) სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (XII კლ);

ი) პროექტი (მოქალაქეობა X-XI კლ).

### მუხლი 46. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო და არჩევითი საგნები:

ა)ბუნებისმეტყველება(ისწავლება I-VIკლასებში);

ბ)ბიოლოგია(ისწავლება VII-XI კლასებში );

დ)ფიზიკა(ისწავლება VII-XI კლასებში);

ე)ქიმია(ისწავლება VIII-XI კლასებში);

ვ)კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები(არჩევითი ისწავლება XII კლასის I სემესტრში).

### მუხლი 47. ტექნოლოგიები

1.ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი ,,ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ (ისწავლება II-VI კლასებში);

### მუხლი 48. ესთეტიკური აღზრდა

1.ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება(ისწავლება I-IX კლასებში);

ბ)მუსიკა(ისწავლება I-IX კლასებში);

გ) პროექტი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ( X-XIკლასი).

დ)პროექტი-მუსიკა (XI კლასი).

### მუხლი 49. სპორტი

1.სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) ფიზიკური აღზრდა(ისწავლება I-VI კლასებში);

ბ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი(ისწავლება VII-XII კლასებში);

## მუხლი 50 .არჩევითი საგნები

1.სკოლის რესურსებიდან და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლა

იმედში ისწავლება შემდეგი არჩევითი საგნები:

ა) მსოფლიო კულტურა( Xკლასი)

ბ)ეკონომიკა და სახელმწიფო(XIკლასი)

გ) კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები (XIIკლასი)

## მუხლი 51. სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და განვითარების აღწერა

1.ყოველი სემესტრის ბოლოს სკოლის მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და კათედრების ხელმძღვანელები წარადგენენ გაწეული საქმიანობის ანგარიშებს დირექციაში;

2.დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და დეპარტამენტის ხელმძღვანელები, კათედრის გამგეები მუდმივად ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს და სასწავლო წლის ბოლოს წერენ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

3.დირექცია ატარებს მშობელთა,მასწავლებელთა და სხვა წარმომადგენელთა სოციოლოგიურ გამოკითხვას სკოლის მართვის,სწავლა-სწავლების,სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების,სასწავლო გარემოს შესახებ,რის საფუძველზეც შეიმუშავებს კვლევის ანგარიშს.

4.სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისა და კვლევის ანგარიშის საფუძველზე სკოლის სასწავლო ნაწილი და ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების,ასევე სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ და წარადგენს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

5.სკოლის ადმინისტრაციას პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე სასკოლო სასწავლო გეგმაში და პროგრამებში შეაქვს ცვლილება-დამატებები.

დანართი N1

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედის 2023 წლის 7 სექტემბრის  N2-05 , პედსაბჭოს ოქმი N1 საფუძველზე კლასის დამრიგებლებს ფუნქცია დაეკისრათ შემდეგ მასწავლებლებს:

I [1] გეწაძე მარიამი

I [2] დოგრაშვილი ლელა

I [3] კიკვაძე ნაზი

II [1] ხარჩილავა მარიამი

II [2] გოგოხია რიტა

II [3] ქურციკიძე ქეთი

III [1] ჩხოზაძე თამარი

III [2] კუხიანიძე  ნუნუ

III [3] ქარჩხაძე ქრისტინე

IV [1] კახიძე ნინო

IV [2] სამხარაძე მერი

IV [3] კოხრეიძე თამთა

V [1] ჯიმშელიშვილი ქრისტინე

V [2] ზირაქაძე მაკა

VI [1] მაჭავარიანი ლია

VI [2] ძოწენიძე მაკა

VII [1] გელაძე ნატალია

VII [2] ძნელაძე თამარი

VIII [1] სანიკიძე თამთა

VIII [2] სანიკიძე თამთა

IX [1] არსენიძე ნინო

IX [2] არსენიძე ნინო

X [1] ხორავა მარიამი

X [2] ხორავა მარიამი

XI [1] დიასამიძე სოფიო

XI [2] დიასამიძე სოფიო

XII [1] ბულია ლელა

XII [2] ბულია ლელა

სკოლის დირექტორი: /ც. გველესიანი/.

**საშუალო სკოლა იმედი** **დანართი N2**

**საათობრივი ბადე კლასების მიხედვით**

**2023-2024 სასწავლო წელი**

**I კლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | ეროვნული სასწავლო გეგმით | |
| | საგანი | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 7 | 7 |
| 2 | მათემატიკა | 5 | 5 | 5 | 5 |
| 3 | ინგლისური ენა | 4 | 4 | 0 | 1 |
| 4 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 2 | 2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 6 | მუსიკა | 2 | 2 | 2 | 2 |
| 7 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 3 | 3 |
| 8 | ჭადრაკი | 2 | 2 | 1 | 1 |
| | სულ საათების რაოდენობა | 24 | 24 | 22 | 23 |

**IIკლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | ეროვნული სასწავლო გეგმით | |
| | | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 7 | 7 |
| 2 | მათემატიკა | 5 | 5 | 5 | 5 |
| 3 | ინგლისური ენა | 4 | 4 | 2 | 2 |
| 4 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 5 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 6 | მუსიკა | 2 | 2 | 2 | 2 |
| 7 | ფიზიკური აღზრდა | 2 | 2 | 3 | 3 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 2 | 2 | 1 | 1 |
| | სულ | 24 | 24 | 24 | 24 |

**IIIკლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | ეროვნული სასწავლო გეგმით | |
| | | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 6 | 6 |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 5 |
| 3 | ინგლისური ენა | 3 | 3 | 3 | 3 |
| 4 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 5 | მე და საზოგადოება | 2 | 2 | 2 | 2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 7 | მუსიკა | 2 | 2 | 2 | 2 |
| 8 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 3 | 3 |
| 9 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 1 | 1 | 1 | 1 |
| 10 | რუსული ენა (დამატებითი საგანი) | 2 | 2 | - | - |
| | სულ | 25 | 25 | 26 | 26 |

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | ეროვნული სასწავლო გეგმით | |
| | | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 6 | 6 |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 5 |
| 3 | ინგლისური ენა | 3 | 3 | 3 | 3 |
| 4 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 5 | მე და საზოგადოება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 6 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 |
| 7 | მუსიკა | 2 | 2 | 2 | 2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 3 | 3 |
| 9 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 1 | 1 | 1 | 1 |
| 10 | რუსული ენა (დამატებითი საგანი) | 2 | 2 | - | - |
| | სულ | 25 | 25 | 26 | 26 |

**IV კლასი**

**Vკლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | | |
| | | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 5 | 5 | - | 5 |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 5 | - | 6 |
| 3 | ინგლისური ენა | 3 | 3 | 3 | 3 | - | 4 |
| 4 | რუსული | 2 | 2 | 2 | 2 | - | 3 |
| 5 | ჩვენი საქართველო | 2 | 2 | 2 | 2 | - | 3 |
| 6 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 3 | 3 | - | 4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 1 | 1 | 2 | 2 | - | 2 |
| 8 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 | - | 2 |
| 9 | მუსიკა | 1 | 1 | 2 | 2 | - | 2 |
| 10 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 1 | 1 | 2 | 2 | - | - |
| | სულ | 24 | 24 | 28 | 28 | - | - |

**VIკლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო სასწავლო გეგმით | | ეროვნული სასწავლო გეგმით | | | |
| | | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. | Iსემ. | IIსემ. |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 5 | 5 | 3 | 5 |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 6 |
| 3 | ინგლისური ენა | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 |
| 4 | რუსული ენა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 |
| 5 | ჩვენი საქართველო | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 3 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ბუნებისმეტყველება | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 |
| 7 | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 8 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 9 | მუსიკა | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 10 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 2 | 2 | - | - |
| | სულ | 25 | 25 | 28 | 28 | - | - |

## VII კლასი

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო გეგმით I სემ | სასკოლო გეგმით II სემ | ეროვნული გეგმით | Iსემ. | IIსემ | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 4 | 4 | 5 | 4 | 5 | - |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 4 | 6 | - |
| 3 | ინგლისური ენა | 5 | 5 | 3 | 3 | 4 | - |
| 4 | რუსული ენა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 5 | ისტორია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | გეოგრაფია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 7 | ბიოლოგია | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | - |
| 8 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 9 | მუსიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 10 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 2 | - | - | - |
| 11 | ფიზიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 12 | მოქალაქეობა | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | - |
| | სულ | 30 | 30 | 31 | - | - | - |

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო გეგმით I სემ | სასკოლო გეგმით II სემ | ეროვნული გეგმით | Iსემ. | IIსემ | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 4 | 4 | 5 | 4 | 5 | - |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 4 | 6 | - |
| 3 | ინგლისური ენა | 5 | 5 | 3/2 | 2 | 3 | - |
| 4 | რუსული | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 5 | ისტორია | 2 | 2 | 2/3 | 2 | 3 | - |
| 6 | გეოგრაფია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ბიოლოგია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 8 | ფიზიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 9 | ქიმია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 10 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 2 | 2 | 2/1 | 2 | 1 | - |
| 11 | მუსიკა | 1 | 1 | 1/2 | 1 | 2 | - |
| 12 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 2 | - | - | - |
| 13 | მოქალაქეობა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | - |
| | სულ | 31 | 31 | 31 | - | - | - |

**VIII კლასი**

**IXკლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო გეგმით I სემ | სასკოლო გეგმით II სემ | ეროვნული გეგმით | I სემ | IIსემ | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 4 | 4 | 5 | 4 | 5 | - |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 4 | 6 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ინგლისური ენა | 5 | 5 | 2 | 2 | 3 | - |
| 4 | რუსული ენა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 5 | ისტორია | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | - |
| 6 | გეოგრაფია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 7 | ბიოლოგია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | |
| 8 | ფიზიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 9 | ქიმია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 10 | მოქალაქეობა | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 11 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 1 | 1 | ½ | 2 | 3 | - |
| 12 | მუსიკა | 1 | 1 | 2/1 | 2 | 2 | - |
| 13 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 2 | - | - | - |
| | სულ | 30 | 30 | 32 | - | - | - |

**X კლასი**

| - | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო გეგმით I სემ | სასკოლო გეგმით II სემ | ეროვნული გეგმით | I სემ | II სემ | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 5 | 4 | 5 | - |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 4 | 6 | - |
| 3 | ინგლისური ენა | 5 | 5 | 2 | 2 | 3 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | რუსული | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 5 | მსოფლიო ისტორია | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | - |
| 6 | გეოგრაფია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 7 | სამოქალაქო განათლება | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | - |
| 8 | ბიოლოგია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 9 | ფიზიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 10 | ქიმია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 11 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 2 | 2 | - | - | - |
| 12 | არჩევითი(მსოფლიო კულტურა) | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | - |
| 13 | საქართველოს ისტორია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | |
| | სულ | 32 | 32 | 32 | - | - | - |
| | პროექტი სამოქალქო განათლება | 1 | 1 | 1 | - | - | - |
| | პროექტი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | - | - | - |

**XI კლასი**

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო გეგმით I სემ | სასკოლო გეგმით II სემ | ეროვნული გეგმით | I სემ | II სემ | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 5 | 4 | 5 | - |
| 2 | მათემატიკა | 4 | 4 | 5 | 4 | 6 | - |
| 3 | ინგლისური ენა | 5 | 5 | 2 | 2 | 3 | - |
| 4 | რუსული ენა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 5 | ისტორია | 3 | 3 | 3 | 2 | 3 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | გეოგრაფია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 7 | ბიოლოგია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 8 | ფიზიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | - |
| 9 | ქიმია | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | - |
| 10 | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | 2 | 1 | 1.5 | - | - | - |
| 11 | სამოქალაქო განათლება | 1 | 1 | 1.5 | 2 | 3 | - |
| 12 | არჩ.ეკონომიკა და სახელმწიფო | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | - |
| 13 | საქართველოს ისტორია | 2 | 2 | | 2 | 3 | |
| | სულ | 34 | 34 | 31 | - | - | - |
| | პროექტი- სამოქალაქო განათლება | 1 | 1 | 1 | - | - | - |
| | პროექტი- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | - | - | - |

## XII კლასი

| N | საგანი | საათების რაოდენობა კვირაში | | | შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სასკოლო გეგმით I სემ | სასკოლო გეგმით II სემ | ეროვნული გეგმით | I სემ | II სემ | |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 5 | 5 | 3 | 4 | - |
| 2 | მათემატიკა | 5 | 5 | 5 | 4 | 4 | - |
| 3 | ინგლისური ენა | 5 | 5 | 2 | 3 | 2 | - |
| 4 | რუსული ენა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ისტორია | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | - |
| 6 | სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება | 1 | - | 0,5 | 1 | - | - |
| 7 | სპორტი | 2 | 2 | 2 | - | - | - |
| 8 | არჩ.კონსერვაციული ბილოგია | 2 | - | 1 | 1 | - | - |
| | სულ | 24 | 21 | 20 | | | |

შენიშვნა: საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი ისწავლება შემდეგი სახეობები:

1) ფიზიკური აღზრდა
2) მხატვრული ტანვარჯიში
3) აღმოსავლური ორთაბრძოლა

**შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილი სახელობის საშუალო სკოლა იმედი** / დანართი N3/

**2023 წელს გრიფმინიჭებული I-VI კლასების სასკოლო**

**სახელმძღვანელოს ნუსხა**

| N | კლასი | | ავტორი/ავტორები | გამომცემლობა /ფიზიკური პირი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | I | ქართული ენა და ლიტერატურა | როდონაია | გამომცემლობა „მაცნე“ | |
| 2 | I | მათემატიკა | გ.გოგიშვილი,თ.ვეფხვაძე | შპს გამომცემლობა ,,ინტელექტი“ | |
| 3 | I | ჩვენი გარემო (ბუნებისმეტყველება) | ბლიაძე, ახვლედიანი, ტყემალაძე, შუბლაძე | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 4 | I | ინგლისური ენა(New building Blocks) | Kristina cajo andel<br>Daska Domljan<br>Ankica knezovic<br>Danka singer<br>Paula Vrankovic | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 5 | I | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | კლდიაშვილი | გამომცემლობა კლიო | |
| 6 | I | მუსიკა | მაია ოთიაშვილი<br>ია გაბუნია | შპს ,,წყაროსთვალი“ | |
| 1 | II | ქართული ენა და ლიტერატურა | როდონაია | გამომცემლობა „მაცნე“ | |
| 2 | II | მათემატიკა | გ.გოგიშვილი,თ.ვეფხვაძე | გამომცემლობა,,ინტელექტი“ | |
| 3 | II | ჩვენი გარემო (ბუნებისმეტყველება) | ლია შალვაშვილი<br>მანანა მაჭავარიანი | შპს ,,შემეცნება“ | |
| 4 | II | ინგლისური ენა( New building Blocks) | Kristina cajo andel<br>Daska Domljan<br>Ankica knezovic<br>Danka singer<br>Paula Vrankovic | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 5 | II | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | კლდიაშვილი | გამომცემლობა კლიო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | II | მუსიკა | მაია ოთიაშვილი<br>ია გაბუნია | შპს ,,წყაროსთვალი“ | |
| 1 | III | ქართული ენა და ლიტერატურა | | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 2 | III | მათემატიკა | გ.გოგიშვილი<br>თ.ვეფხვაძე | შპს ,,გამომცემლობა ინტელექტი“ | |
| 3 | III | ჩვენი გარემო (ბუნებისმეტყველება) | ლია შალვაშვილი<br>მანანა მაჭავარიანი | შპს ,,შემეცნება“ | |
| 4 | III | ინგლისური ენა( New building Blocks) | Kristina cajo andel<br>Daska Domljan<br>Ankica knezovic<br>Danka singer<br>Paula Vrankovic | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 5 | III | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ნანა მაჭარაშვილი,<br>ნინო სილაგაძე,<br>ნათელა ჯაბუა,<br>მაია მაჭარაშვილი | შპს ,,გამომცემლობა მერიდიანი“ | |
| 6 | III | მუსკია | მაია ოთიაშვილი<br>ია გაბუნია | შპს ,,წყაროსთვალი“ | |
| 7 | III | მე და საზოგადოება | ნინო ტალახაძე | შპს გამომცემლობა სიდი ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | IV | ქართული ენა და ლიტერატურა | | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 2 | IV | მათემატიკა | გ.გოგიშვილი თ.ვეფხვაძე | შპს ,,გამომცემლობა ინტელექტი“ | |
| 3 | IV | ჩვენი გარემო (ბუნებისმეტყველება) | | შპს ,,შემეცნება“ | |
| 4 | IV | ინგლისური ენა( New building Blocks) | Kristina cajo andel Daska Domljan Ankica knezovic Danka singer Paula Vrankovic | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 5 | IV | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია | სულაკაური | |
| 6 | IV | მუსიკა | მაია ოთიაშვილი ია გაბუნია | შპს ,,წყაროსთვალი“ | |
| 7 | IV | მე და საზოგადოება | ნინო ტალახაძე | შპს გამომცემლობა სიდი ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი | |
| 1 | V | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ.გორდელაძე,თ.კუხიანიძე, თეა ქიტოშვილი,გვანცა ჩხენკელი | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 2 | V | მათემატიკა | საგინაშვილი | | |
| 3 | V | ჩვენი გარემო (ბუნებისმეტყვე | | შპს „შემეცნება“ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ლება) | | | |
| 4 | V | ინგლისური ენა( New building Blocks) | Kristina cajo andel<br>Daska Domljan<br>Ankica knezovic<br>Danka singer<br>Paula Vrankovic | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 5 | V | ჩვენი საქართველო | გიორგი ავთანდილაშვილი<br>ნოდარ ელიზბარაშვილი<br>როლანდ თოფჩიშვილი | შპს ,,გამომცემლობა კლიო“ | |
| 6 | V | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ნანა მაჭარაშვილი,<br>ნინო სილაგაძე,<br>ნათელა ჯაბუა,<br>მაია მაჭარაშვილი | შპს ,,გამომცემლობა მერიდიანი“ | |
| 7 | V | მუსიკა | ნინო ქუმსიშვილი<br>რატი ჯულაყიძე<br>მაია ოთიაშვილი<br>ირინე მიქაძე<br>ია გაბუნია | შპს ,,გამომცემლობა კლიო“ და შპს ,,წყაროსთვალი“ | |
| 8 | V | რუსული ენა Руский язык | Маиа Лорткифаиидзе<br>Ирина чхеидзе<br>Тамар Чимакадзе | შპს ,,გამომცემლობა არტანუჯი“ | |
| 1 | VI | ქართული ენა და ლიტერატურა | ნ.გორდელაძე,თ.კუხიანიძე, თეა ქიტოშვილი,გვანცა ჩხენკელი | შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | |
| 2 | VI | მათემატიკა | საგინაშვილი | | |
| 3 | VI | ჩვენი გარემო (ბუნებისმეტყვე ლება) | | შპს ,,შემეცნება“ | |
| 4 | VI | ინგლისური ენა( New building Bridges) | Danka singer<br>Borka Lekaj Lubina,<br>Jasna pavina | შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
| 5 | VI | ჩვენი საქართველო | გიორგი ავთანდილაშვილი<br>ნოდარ ელიზბარაშვილი<br>როლანდ თოფჩიშვილი | შპს ,,გამომცემლობა კლიო“ | |
| 6 | VI | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ნანა მაჭარაშვილი,<br>ნინო სილაგაძე,<br>ნათელა ჯაბუა,<br>მაია მაჭარაშვილი | შპს ,,გამომცემლობა მერიდიანი“ | |
| 7 | VI | მუსიკა | ნინო ქუმსიშვილი<br>რატი ჯულაყიძე | შპს ,,გამომცემლობა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მაია ოთიაშვილი<br>ირინე მიქაძე<br>ია გაბუნია | კლიო“ და შპს ,,წყაროსთვალი“ | |
| 8 | VI | რუსული ენა<br>Руский язык | მარინა ბარსეგოვა | გამოცემლობა 21 | |
| 9 | VI | ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | | | |
| 1 | I-II | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | ლევან კიკალიშვილი | შპს,,გამომცემლობა პეგასი“ | მასწავლებლის წიგნი |
| 2 | III-IV | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | ლევან კიკალიშვილი | შპს,,გამომცემლობა პეგასი“ | მასწავლებლის წიგნი |